ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 112 (9203)
10 ივნისი
სამშაბათი.
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.



კვირას მეთორმეტედ გაიმართა ტრადიციული ამანათრბენი „თბილისის რკალი" გაზეთ „კომუნისტის" პრიზზე. მთავარი ჯილდო მიიღო სპორტსაზოგადოება „დინამოს" ნაკრებმა.

იხ. მე-2 გვ.

## გვიმრავლოს...

გასულ შაბათ-კვირას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა საკავშირო შეჯიბრებები, რომლებშიც თავი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც გამოიჩინეს.

# ახალი ჩემპიონი სამბოში

### პაატა ბუზარიაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა

პერმი. „სპარტაკის" მძლეოსნურ მანეჟში სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა, რომელმაც ახალგაზრდა სპორტსმენთა მზარდი ოსტატობა გამოავლინა. ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენა გახლდათ 82 კგ წონითი კატეგორიის ათლეტი საგარეჯოელი პაატა ბუზარიაშვილი, რომელმაც ჭიდაობა ჯერ ვ. მეკოკიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო, მერე კი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლების პერიოდში ა. ზურაბაული ავარჯიშებდა.

პაატა ბუზარიაშვილს ახალბედას ვერც უწოდებთ, იგი ერთხელ უკვე იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ოღონდ ჭაბუკ სამბისტთა შორის. მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატში იგი პირველად შარშან გამოვიდა და VI ადგილი დაიკავა. წლეულს წარმატებით ჩაატარა წინასწარი შეხვედრები და ოქროს მედლისთვის ბრძოლა უფელ მსოფლიო ჩემპიონთან ანატოლი იაკოვლევთან მოუხდა.

ეს იყო ახალგაზრდა მოჭიდავის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო ორთაბრძოლა. პაატამ ყველაფერი იღონა წარმატების მისაღწევად და აიხრულა კიდეც ხაწადელი — 82 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზე დარჩა მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი იაკოვლევი. ბრინჯაოს მედლებიც საკმაოდ გამოცდილმა სამბისტებმა ლენინგრადელმა ვ. ალექსანდროვმა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ა. რასკაზოვმა მიიღეს.

დანარჩენ ოთხ წონაში ჩემპიონები გახდნენ: 48 კგ. — ა. ხოდირევი (მოსკოვი), 57 კგ — ა. ნოვიკოვი. 68 კგ. — ვ. პანშინი, 100 კგ. — მ. კოკორინი (სამივე — ლენინგრადი).

# მეოთხე მძლეოსანი ჩვენი რესპუბლიკიდან

...ამ პოპულარულ შეჯიბრებაში სამი გამარჯვება აქვს მოპოვებული ვიქტორ სანეევს, ორი — რობერტ შავლაყაძეს, ერთი — ანატოლი მოშიაშვილს. ეს არის და ეს. დიდი საერთაშორისო ასპარეზობის — ძმები ზნამენსკების მემორიალის 28-წლიანი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის ეს შესანიშნავი მძლეოსნები ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მემორიალის მთავარი პრიზებისათვის ბრძოლა 1500, 5000 და 10000-მეტრიან დისტანციაზე ჩვეულებრივ საქართველოს წარმომადგენელთა გარეშე მიმდინარეობდა. და აი, ეს „მრავალწლიანი ნავსიც" გატყდა — კვირას ლენინგრადში, ძმები ზნამენსკების რიგით 29-ე მემორიალში, თბილისელმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა ამ შეჯიბრების ყველაზე მნიშვნელოვანი პრიზი მოიპოვა — ყველა მეტოქე დაამარცხა 10 კილომეტრზე რბენაში და 28.39,6 აჩვენა. 23 წლის მძლეოსნის წარმატება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ პრიზისათვის ბევრი ცნობილი მორბენალი იბრძვის. სხვადასხვა დროს საპატიო ჯილდოს მფლობელები იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი გასტონ რულანტსი, ევროპის ჩემპიონი იურგენ ჰააზე, ეთიოპიელი მუჰამედ კედირი, საბჭოთა მორბენლები რაშიდ შარაფეტდინოვი, ენ სელიკი და სხვები. საერთოდ, ეს სტაიერულ რბენაში მოპოვებული ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში.

მემორიალში თავი გამოიჩინა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთმა





მძლეოსანმა მაია აზარაშვილმა (მწვრთნელი ევგენი გაგუა.), მაიამ მესამე ადგილი მოიპოვა 100-მეტრიან დისტანციაზე. რაც მთავარია, ახალგაზრდა სპორტსმენმა პირდაპირ „დიდოსტატური" შედეგი — 11,19 აჩვენა და საგრძნობლად გააუმჯობესა საქართველოს ძველი რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. შეჯიბრების მეორე დღეს მაიამ უფრო დიდ წარმატებას მიაღწია, მეორე ადგილი დაიკავა 200 მეტრზე რბენაში — 23,11.

### ოლეგ სტრიჟაკოვი

მძლეოსნობა

დაიბადა 1963 წლის მაისში თბილისში.
სიმაღლე 181 სმ, წონა 68 კგ.
სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრი, სპორტის ოსტატი.
ვარჯიში დაიწყო 1974 წელს ვიტალი ქადეიშვილის ხელმძღვანელობით.
ქვეყნის იუნიორ მძლეოსანთა შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი 10 კილომეტრზე რბენაში, საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და იაპონიის მძლეოსანთა მატჩში მესამე ადგილი დაიკავა ამ დისციპლინაში. ძმები ზნამენსკების XXIX მემორიალზე 10-კილომეტრიან დისტანციაზე გამარჯვებით მთავარი პრიზი მოიპოვა.
მისი საუკეთესო შედეგები (5 კმ — 13.29,64; 10კმ — 28.28,70) საქართველოს რეკორდებია.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# ფინალისტებმა გახსნეს ანგარიში

კიევი. აქ დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდების ფინალური ტურნირი. როგორც ვაუწყებოდით, გადამწყვეტ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ჯგუფურ ტურნირებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა მოიპოვეს. სამწუხაროდ, საქართველოს კალათბურთელები ვერც ვაჟთა და ვერც ქალთა ფინალურ ტურნირში ვერ მოხვდნენ.

გაიმართა პირველი ფინალური შეხვედრები. **ვაჟები.** მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მოსკოვისა და ყაზახეთის კალათბურთელთა ორთაბრძოლა. გაიმარჯვა ყაზახეთის გუნდმა — 84:66. მოსკოვის კოლექტივის დამარცხება ტურნირის პირველი სენსაციაა. სამ შეხვედრაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა: რუსეთის ფედერაცია — ლატვია 71:69, ლიტვა — ლენინგრადი 100:78, უკრაინა — ესტონეთი 65:39.

**ქალები.** პირველ ტურში ფავორიტებმა შედარებით იოლი გამარჯვება მოიპოვეს: რუსეთის ფედერაცია — ლიტვა 93:66, მოსკოვი — აზერბაიჯანი 78:60, უკრაინა — ლენინგრადი 91:64, ყაზახეთი — ბელორუსია 61:36.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

დაიწყო მოსწავლეთა XXXIV რესპუბლიკური სპარტაკიადა. ამ დღეებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გაიმართა თათბირი, სადაც განიხილეს რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობების ჩატარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. ინფორმაციით გამოვიდნენ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი მ. მნათობიშვილი და ამავე სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მ. ტულუში.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ნ. ვასაძემ.



კვირას, 8 ივნისს, ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნა ფეხბურთის დღე. ახლა, როცა შორეულ მექსიკაში ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები მიმდინარეობს, სპორტის ამ პოპულარული სახეობისადმი ინტერესმა კიდევ უფრო იმატა. ფეხბურთის მოყვარულები განსაკუთრებული ენთუზიაზმით გამოვიდნენ რესპუბლიკის საფეხბურთო მოედნებზე.

იხ. მე-3 გვ.

# XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

MEXICO86

7.VI. მეხიკო. მექსიკა — პარაგვაი 1:1
7.VI. გვადალახარა. ესპანეთი — ჩრდ. ირლანდ. 2:1
7.VI. მონტერეი. პოლონეთი — პორტუგალია 1:0
8.VI. ტოლუკა. ბელგია — ერაყი 2:1
8.VI. ნეცაუალკოიოტლი. ურუგვაი — დანია 1:6
8.VI. კერეტარო. გფრ — შოტლანდია 2:1




დღეს თამაშობენ:

ბულგარეთი—არგენტინა ● იტალია—სამხ. კორეა

## ელვა-ინფორმაცია

### ლეილა მესხის ახალი წარმატება

პარიზი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში წყვილთა შეჯიბრება გოგონათა თანრიგში თბილისელმა ლეილა მესხმა და მინსკელმა ნატალია ზვერევამ მოიგეს. ფინალში მათ ჩეხოსლოვაკიელები იანა ნოვოტნა და რეგინა რაიხსტოვა დაამარცხეს — 1:6, 6:3, 6:0. ტურნირის მთავარი პრიზები კი ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) და კრის ევერტ-ლოიდმა (აშშ) დაისაკუთრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს IX სპარტაკიადა

# მასობრიობა იზრდება

სამბო

**ჩვენს** რესპუბლიკაში სამბოში მომეცადინეთა რიცხვი ერთხანს არც ისე შთამბეჭდავი იყო. მაგრამ მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა. გამოსწორდა როგორც ბევრ ქალაქსა და რაიონში, ისე სპორტსაზოგადოებებში. შარშან კი, ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე ჩვენმა სამბისტებმა უკვე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. სპეციალისტები კმაყოფილნი დარჩნენ საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გამართულ სამბისტთა იმ შეჯიბრების შედეგებითაც, რომელიც სოხუმში გაიმართა. აქ საასპარეზოდ 32 რაიონისა და ქალაქის 190-მდე მოჭიდავე შეიკრიბა, მათ შორის იყვნენ რესპუბლიკის ნაკრების წევრებიც.

შეჯიბრებაში თავი ისახელეს თბილისელებმა. მათ 290 ქულა მოაგროვეს. მეორე ადგილზე ქუთაისელები გავიდნენ (215), მესამეზე — ახმეტელები (188).

ამ შეჯიბრებამ ერთგვარად სპორტსაზოგადოებების მუშაობაც შეაჯამა. აღმოჩნდა, რომ პრიზიორებში უფრო ხშირად ხვდებოდნენ „კოლმეურნის“ წარმომადგენლები, ისინი აშკარად სჯობდნენ დანარჩენებს: ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ „კოლმეურნის“ სამბისტებმა 404 ქულა მოაგროვეს, მეორე ადგილზე გასულმა დინამოელებმა კი მხოლოდ — 243.

მწვრთნელთაგან ყველაზე უკეთ უმუშავიათ თბილისელ ხუციშვილს („ბურევესტნიკი“) და ქუთაისელ სარდანაძეს („ლოკომოტივი“). მათ აღზრდილთაგან ხუთ-ხუთი მოჭიდავე საპრიზო ადგილებზე გავიდა. ქებას იმსახურებენ თბილისელი მარიდაშვილი (ასკ) და ახმეტელი ახალაური („კოლმეურნე“), (ოთხ-ოთხი პრიზიორი), კასპელი კაციაშვილი („კოლმეურნე“) და დუშელი ლოსეურაშვილი („ბურევესტნიკი“) — სამ-სამი პრიზიორი.

## კვარცხლბეკი

48 კგ. მ. ხაჭაპურიძე (სამხრეთ ოსეთი), გ. ექვთიმიშვილი (ახმეტა), ი. პოლოსოვი (სოხუმი), ი. ბიჭიკოშვილი (კასპი); **52 კგ.** დ. გაგუნაშვილი (ახმეტა), დ. ინაშვილი (დუშეთი), გ. შაყულოვი (თბილისი), ბ. ნემსაძე (ქუთაისი);

**57 კგ.** ლ. ბასილაშვილი (საგარეჯო), შ. პაპინაშვილი (კასპი), პ. სუხაშვილი (საგარეჯო), გ. ნაცვლიშვილი (თბილისი); **62 კგ.** ბ. ბასილაშვილი (თბილისი), თ. მოდებაძე (ქუთაისი), ე. სიხაშვილი (ქარელი), ა. აზოლაძე (გორი); **68 კგ.** დ. გუდიევი (თბილისი), შ. ფარჯანაძე (სოხუმი), გ. ბაგაური (ახმეტა), მ. ოდიშელი (დუშეთი), **74 კგ.** ტ. ცქიტიშვილი (ქუთაისი). გ. ყიფშიძე (თბილისი), დ. საბაშვილი (გორი), კ. ქივაძე (კასპი); **82 კგ.** თ. შეთექაური (ახმეტა), თ. ბუზარიშვილი (თბილისი), ა. მირზაშვილი (საგარეჯო), გ. კოლუაშვილი (ქუთაისი), **90 კგ.** დ. ხოდელი (კასპი), მ. წინამძღვრიშვილი (თბილისი), დ. ძიძიშვილი (დუშეთი), ფ. ციცელაშვილი (ქუთაისი); **100 კგ.** რ. ძიძიშვილი (დუშეთი), ბ. ბეკოშვილი (რუსთავი), ზ. ქსოვრელი (კასპი), გ. სპანდერაშვილი (თბილისი), **+100** ი. ჯიჩოშვილი (თბილისი), გ. კვიტაშვილი (ახმეტა), დ. ჩალაური (გორი), გ. გოქსაძე (ქუთაისი).

გვიმრავლოს...

# თედორაძე და გედეხაური

**ერევანი.** ეს მართლაც გაუთვალისწინებელი რამ იყო. ყოველ შემთხვევაში, მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირებში ასეთი რამ იშვიათად მომხდარა. სომხეთის დედაქალაქში გამართულ ი. პოდდუბნის მემორიალზე, რომელშიც კლასიკური სტილის ათლეტები ასპარეზობდნენ, პირველობა ყველაზე მსუბუქ წონაში (48 კგ) არ გათამაშებულა, რადგან ფინალური შეხვედრის ორთავე მონაწილე — მსოფლიო ჩემპიონი მაგიატდინ ალახვერდიევი და ილგამ უმაევი მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებიდან მოხსნა.

დანარჩენ წონებში პირველი ადგილები საბჭოთა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს. მემორიალის ჩემპიონები გახდნენ: მინსაიდ ტაზეტდინოვი (ულიანოვსკი), ოჰანეს არუთიუნიანი, კომანდარ მაჯიდოვი (ორივე — მინსკი), მიხეილ ელიზარიევი (ულიანოვსკი), ვიქტორ რუდიკი (კრასნოიარსკი), ალექსი სავინკინი (მოსკოვი), თენგიზ თედორაძე, გურამ გედეხაური (ორივე — თბილისი), ალექსანდრე კარელინი (ნოვოსიბირსკი).

როგორც ხედავთ, საქართველოს „კლასიკოსებმა“ ამ ტურნირში ორი პირველი ადგილი დაიკავეს. კარგი ჭიდაობისა და მაღალი ტექნიკური მომზადებისთვის სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურეს გედეხაურმა და თედორაძემ. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა 90 კგ წონის ათლეტმა ზაურ ივანაშვილმაც. საკმარისია ითქვას, რომ წინასწარ შეხვედრებში მან მსოფლიოს ექსჩემპიონი ი. კანიგინი დაამარცხა.

• • •

**ულიანოვსკში** ჩატარდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კრივში ჭაბუკთა შორის (1971-72 წ.წ. დაბადებულნი). გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს ლუხუმ ტოტიაურმა (63,5 კგ) და არტურ სალატელიანმა (79 კგ). II პრიზი ელდარ ალოიანსმა (57 კგ) დაისაკუთრა. მესამე ადგილზე ნიკა ავალიშვილი (50 კგ) და რუბიკ აშიანი (57 კგ) გავიდნენ.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა III საპრიზო ადგილი მოიპოვა.

მძლეოსნური ამანათრბენი გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე



# მეთორმეტედ „თბილისის რკალზე“

**მძლეოსნური** ამანათრბენის ჩატარება ქალაქის მაგისტრალებზე ორგანიზაციულად ძნელად გადასაწყვეტი ამოცანაა, მაგრამ ეს მეტად საინტერესო, მასობრივი შეჯიბრება ხშირად სხვადასხვა სპორტული ზეიმების დამამშვენებელ ნაწილად იქცევა ხოლმე. გაზეთი „კომუნისტი“ ყოველ წელს, ზაფხულის დასაწყისში ატარებს ტრადიციულ ამანათრბენს სახელწოდებით „თბილისის რკალი“. კვირას სპორტსაზოგადოებათა ნაკრებმა გუნდებმა მეთორმეტედ გაითამაშეს გაზეთის მიერ დაწესებული გარდამავალი ჯილდო. სტარტზე 16 გუნდი გამოვიდა, მაგრამ რადგან ისინი სპორტსაზოგადოებათა ნაკრებები იყვნენ (თითოეულმა ორგანიზაციამ ორ-ორი გუნდი გამოიყვანა), ამიტომ გამარჯვებისთვის ამჯერად მხოლოდ ძლიერი, თანაბარი ძალის სპორტსმენებით დაკომპლექტებული კოლექტივები იბრძოდნენ. უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებაში 38 კარგი სპრინტერის გამოყვანა (ამანათრბენის დისტანცია 19 ეტაპისგან შედგებოდა) ყველა სპორტსაზოგადოებას უჭირს, ამიტომ მორბენალთა შორის მხტომელსაც შეხვდებოდით, შუბისმტყორცნელსაც და სტაიერსაც, მაგრამ ახლა, საზაფხულო სპორტული სეზონის წინ, ყველა მძლეოსანი კარგ სპორტულ ფორმაშია და ბევრმა გუნდმა საკმაოდ კარგი შედეგიც აჩვენა...

ერთ-ერთი ფავორიტის, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ გუნდის ხელმძღვანელებმა შეცდომა შეჯიბრების დასაწყისში დაუშვეს, როდესაც ყველაზე გრძელ, 550-მეტრიან ეტაპზე („კომუნისტის“ რედაქცია — საჭაშნიკე) სამმხტომელი სერგეი კურდინოვსკი გამოიყვანეს. სერგეი სისწრაფეში სხვებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მალე დაიღალა და ჩამორჩა. დინამოელებმა დაკარგული პოზიცია მე-4 ეტაპზე, ჩელუსკინელების ხიდზე დაიბრუნეს, როდესაც ოლეგ ანდრეევმა დაწინაურებულ „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელს გაუსწრო. ამის შემდეგ დინამოელთა უპირატესობა უდავო გახდა. მდევართა შორის პირველი იყო სტუდენტთა პირველი გუნდი. გადამწყვეტი აღმოჩნდა „სამთო ეტაპი“ — — „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებსა და ლენინის მოედანს შორის მდებარე აღმართი. ჯერ დინამოელმა შუბისმტყორცნელმა გენადი არჯევანიძემ დაამტკიცა, რომ შეუძლია სპრინტერებსაც წარმატებით შეეჯიბროს, შემდეგ კი მისმა თანაგუნდელმა, რესპუბლიკის ერთ-ერთმა საუკეთესო სპრინტერმა პავლე აგამერიანმა გამოიჩინა თავი — მეტოქეები იმდენზე ჩამოიტოვა, რომ ლენინის მოედანზე მომლოდინე მის თანაგუნდელ გოგონას ისღა დარჩა, მშვიდად გაერბინა თავისი მონაკვეთი. ასე რომ, უკანასკნელ ეტაპებზე მდგარ დინამოელ სპორტსმენებს აღარ უღელვიათ — კაპიტანმა, ვიაჩესლავ ვასილიევმა პირველმა გადაკვეთა სახელმწიფო ფილარმონიის წინ მოწყობილი ფინიშის ხაზი. 45 წამის შემდეგ ფინიშთან მიიჭრა „ბურევესტნიკის“ გუნდის წარმომადგენელი. სიურპრიზი შემოგვთავაზა ნორჩი სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა „შრომითი რეზერვების“ გუნდმა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

როდესაც მსაჯებმა ყველა გუნდის შედეგი ჩაიწერეს, აღმოჩნდა, რომ დინამოელებს ორი ნაკრების შედეგების ჯამშიც უსახელებიათ თავი. მათ პირველ გუნდს 6700-მეტრიანი დისტანცია 17.14,8-ში დაუფარავს, მეორეს კი 19.12,7-ში. ამრიგად, გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი „დინამოს“ ნაკრებს (უფროსი მწვრთნელი ანატოლი ანტონოვი) გადაეცა — 36.27,4. მეორე ადგილზე „კოლმეურნის“ მძლეოსნები გავიდნენ (37.57,7), საერთო გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელთ ხვდათ წილად — 38.25,6. „ბურევესტნიკს“ მეორე გუნდმა უმტყუნა და იგი მეოთხე ადგილს დასჯერდა — 38.37,3. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: V. „სპარტაკი“ — 39.33,3. VI. „ლოკომოტივი“ — 41.34,6; VII. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 42.52,9; VIII. „განთიადი“ — 43.31,1.



„დინამოს“ ნაკრები გუნდი.

„ნორჩი ლენინელის“ პრიზზე

# ასპარეზობა, რომელიც ზეიმად იქცა

ძალოსნობა

**თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მუშაკებმა დიდი მუშაობა გასწიეს ძალოსნობაში გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პრიზზე ტრადიციული ღია პირველობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. ეს შეჯიბრება ნორჩ ძალოსანთა ნამდვილ დღესასწაულად იქცა.**

შეჯიბრებამ, რომელიც უკვე მესამედ ჩატარდა, 1969 წელს და უფრო გვიან დაბადებულ 100-ზე მეტ მოზარდს მოუყარა თავი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სკოლის ძალოსნობის განყოფილების, აშხაბადის, ჩერნიგოვის, სტავროპოლის, ჟუკოვსკის სპორტული სკოლების და სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები.

ასპარეზობა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, რაშიც უფრო აშხაბადელებს მიუძღვით „ბრალი“. მათ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოიყვანეს ძალოსნურ ფიცარნაგზე და 5 წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს ალტი ბაირამოვმა (ორჭიდში 117,5 კგ), ჩარი დენატოროვმა (120), ფედია პოდშივალნიკმა (150), ახმედ სარიევმა (180, ყველა — აშხაბადი), იური გრაჟდანსკიმ (190), სერგეი ლარიბოვმა (190, ორივე —სტავროპოლი), ელგუჯა მინაძემ (267,5 თბილისი), ალტი ორაზდუევმა (280, აშხაბადი), არაიტ კაზარიანმა (262,5), ხვიჩა ქობალიამ (300) და ჯონი მირზაშვილმა (210).

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პრიზი მოიპოვა თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების კომპლექსური სკოლის ძალოსნობის განყოფილების გუნდმა (2062 ქულა), მეორე ადგილზე გავიდნენ აშხაბადის სპორტული სკოლის ძალოსნები (1849), მესამეზე — თბილისის სპორტული კლუბის, „შევარდენის“ აღსაზრდელები (1173).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მთავარმა მსაჯმა შოთა ბუაძემ გვითხრა:

— ამ ასპარეზობის ძირითადი მიზანი ძალოსნობის პოპულარიზაცია იყო. რა დასამალია და ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ეს სახეობა ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს სათანადო პატივისცემით. მართალია, ტექნიკური შედეგები სასურველ დონეს ვერ მიუახლოვდა, მაგრამ შეჯიბრებაზე დიდი გამოცდილება მიიღეს ჩვენმა ძალოსნებმა. რაც შეეხება აშხაბადელ სპორტსმენებს, მათ ჩვენს ქვეყანაში მოწინავე პოზიციები უჭირავთ. მათი დაწინაურების საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ რესპუბლიკაში არამარტო ძალოსნობის სპეციალიზებული სკოლა, ამ პროფილის სხვა სკოლებიც აქვთ. ამან კიდევ დაგვარწმუნა, რომ თუ გვინდა წარმატებას მივაღწიოთ, აუცილებელია მსგავსი სკოლები რაც შეიძლება მალე ჩვენს რესპუბლიკაშიც გაიხსნას.



**ჯემალ კასრაძე.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „რა ვნახეთ ვარკეთილის მასივში“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 23 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად თბილისის საქარხნო რაიონიდან გვაცნობეს შემდეგი:

**„1986 წლის 12 მარტს რაიაღმასკომის სხდომამ განიხილა რაიონის სპორტული ბაზების საკითხი და კონკრეტული ღონისძიებებიც დასახა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. „ლელოს“ ფურცლებზე წერილის გამოქვეყნების შემდეგ 30 აპრილს, საკითხი განმეორებით იქნა განხილული რაიაღმასკომის სხდომაზე, სადაც განსაკუთრებით მკაცრად შეფასდა გაზეთის მიერ აღნიშნული ფაქტები. დამნაშავე პირებს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, კერძოდ, 182-ე საშუალო სკოლის დირექტორის ზ. ჭილაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვა რაიონის განათლების განყოფილების წინაშე, №106 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს ვ. ბერაიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური. საყვედური გამოეცხადათ რაიონის თბომეურნეობის კანტორის უფროსს ნ. დოლელიანს, საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის უფროსის მოადგილეს გ. ლაშხს და რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ს. ნემსიწვერიძეს.**

**დღეისათვის გაზეთის მიერ მხილებული ნაკლოვანებები გამოსწორებულია და ბაზების სისტემატურ მზადყოფნაზე დაწესებულია მკაცრი კონტროლი.“**

**ტ. არველაძე,**
საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

MEXICO 86

## XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

# პირველი ეტაპის ფინიშზე

მსოფლიოს XIII საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასასრულს მექსიკის სტადიონებზე ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა. ზოგიერთმა გუნდმა პირველი ორი მატჩის შემდეგ უკვე გაინაღდა მერვედფინალში . მონაწილეობის უფლება, ზოგიერთები უკვე გამოეთიშნენ ჩემპიონატს, ნაწილს კი ახლა აქვს გადამწყვეტი მატჩები. მერვედფინალში თამაშის უფლება 4 ქულით პირველად ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა გაინაღდეს, მაგრამ გუშინდელი ტურის შემდეგ მათ სხვებიც შეუერთდნენ.

7 და 8 ივნისს გაიმართა მორიგი შეხვედრები ქვეჯგუფებში. პოლონელმა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, ფრედ დაამთავრეს მაროკოს გუნდთან, რამაც პოლონელ გულშემატკივართა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. პოლონეთის ნაკრები 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, ამიტომ გუნდის ქომაგებს მეტი პრეტენზიები აქვთ. პოლონელთა მეორე მეტოქე პორტუგალიის ძლიერი გუნდი იყო, უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ პოლონელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 1:0.

მექსიკის ნაკრებმა მეხიკოში ფრედ ითამაშა პარაგვაის გუნდთან — 1:1. მატჩის ბოლო წუთზე პარაგვაელთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, მაგრამ მასპინძელთა საუკეთესო ფეხბურთელმა უგო სანჩესმა ვერ შეძლო ბურთის გატანა.

7 ივნისს გვადალახარას სტადიონზე წარმატებას მიაღწიეს ესპანელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ძალზე დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები.

8 ივნისის მატჩებიდან საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა ორი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — შოტლანდია და დანია — ურუგვაი.

ისევე როგორც დანიის ნაკრებთან შეხვედრაში, შოტლანდიელებმა მონდომებით, კარგად ითამაშეს, მაგრამ მეორე მარცხი განიცადეს ანგარიშით 1:2. პირველი ბურთი მათ გაიტანეს (სტრეჩენი), მაგრამ ფელერმა თანაფარდობა აღადგინა, შემდეგ კი ალოფსმა წინ გაიყვანა გფრ-ის ნაკრები — 2:1.

ასეთივე დაძაბულ ბრძოლას მოელოდნენ დანიისა და ურუგვაის გუნდების შეხვედრაში. ურუგვაელთა ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ფეხბურთელი გამოდის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს საკლუბო გუნდებში თამაშობენ, მაგრამ, ეტყობა, ურუგვაელები არ არიან შეთამაშებული ნაკრებში, მათ ელემენტარული წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს დანიის ძლიერ გუნდს, გარდა ამისა, არბიტრმა მინდვრიდან გააძევა ურუგვაელთა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ბოსიო და დანიელებმა სრულიად იოლად მოიპოვეს გამარჯვება — 6:1. ელკიაერმა და ლერბიუმ პირველ ტაიმში ორი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. ბოლო წუთზე კი ურუგვაელმა ფრანჩესკოლიმ 11-მეტრიანი დარტყმით 1:2-მდე შეამცირა სხვაობა.

დანიელებს შესვენების შემდეგ სრული უპირატესობა ეპყრათ, ლაუდრუპმა, ელკიაერმა (ორჯერ) და ოლსენმა ანგარიში 6:1-მდე აიყვანეს. ელკიაერის ეს 3 გოლი პირველი „ჰეთ-თრიკია“ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში.

ერაყისა და ბელგიის გუნდების შეხვედრაში ერაყელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ ბელგიელებს, მაგრამ შიფოსა და კლასენის 2 გოლს მხოლოდ ერთით უპასუხეს და დამარცხდნენ — 1:2.

### სტატისტიკა...

**მატჩი № 16. უნგრეთი — კანადა 2:0 (1:0). III ჯგუფი.** ირაპუატო, 6 ივნისი. გოლები: ესტერჰაზი, დეტარი. მსაჯი დ. ალ-შარიფი (სირია). 14.000 მაყურებელი. გააფრთხილეს კანადელი ლენარდუზი. გააფრთხილეს და შემდეგ მინდვრიდან გააძევეს მისი თანაკლუბელი სუინი.

**მატჩი № 17. ბრაზილია — ალჟირი 1:0 (0:0). IV ჯგუფი.** გვადალახარა. 6 ივნისი. გოლი: კარეკა. მსაჯი რ. მოლინა (გვატემალა). 47.000 მაყურებელი.

**მატჩი № 18. ინგლისი — მაროკო 0:0. VI ჯგუფი.** მონტერეი. 12.000 მაყურებელი. მსაჯი გ. როა (პარაგვაი). გააფრთხილეს მაროკოელი ფეხბურთელები ჰალიფა, ჰანრი და ინგლისელი ჰეითლი. გააფრთხილეს და შემდეგ მინდვრიდან გააძევეს ინგლისელი უილკინსი.

### გათამაშების ცხრილები

**I ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4—2 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 2—2 | 2 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | 0 | 2—2 | 2 |
| სამხ. კორეა | 2 | 0 | 1 | 1 | 2—4 | 1 |

**II ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| ბელგია | 2 | 1 | 0 | 1 | 3—3 | 2 |
| ერაყი | 2 | 0 | 0 | 2 | 1—3 | 0 |

**III ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 1 | 0 | 7—1 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2—6 | 2 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 0—3 | 0 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა გუშინდელ შეხვედრათა შედეგები.

**IV ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 2—0 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | 2 |
| ჩრ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 2—3 | 1 |
| ალჟირი | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 1 |

**V ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 2 | 2 | 0 | 0 | 7—1 | 4 |
| გფრ | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| ურუგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 2—7 | 1 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1—3 | 0 |

**VI ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 1—0 | 3 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 1—1 | 2 |
| მაროკო | 2 | 0 | 2 | 0 | 0—0 | 2 |
| ინგლისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |



**მაროკო — ინგლისი 0:0. ინგლისელთა ცენტრალური თავდამსხმელი გერი ლინეკერი (№ 10) მაროკოელთა მცველ მოურედინ ბოუიაჰიაოუისთან ბრძოლაში.**



**კანადა — უნგრეთი 0:2. უნგრელი დიორდ ბოგნარისა და კანადელი რენდი რეგენის ორთაბრძოლა.**

## მექსიკური მოზაიკა

⊙ **მექსიკის** მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილე გუნდებისთვის დღის ზუსტი განაწესია დადგენილი: მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ფეხბურთელები სტადიონზე უნდა იყვნენ, მწვრთნელებმა 45 წუთით ადრე უნდა წარადგინონ მატჩის მონაწილეთა განაცხადი. თამაშის დაწყებამდე 10 წუთით წინ კი გუნდი მინდორზე უნდა იყოს ჰიმნების შესრულების ცერემონიალისა და ფოტოგადაღებისთვის. მატჩის დამთავრების შემდეგ ორივე გუნდის მოთამაშეები იკრიბებიან მინდვრის ცენტრში და მიესალმებიან მაყურებლებს. მაისურების გაცვლა მოთამაშეთა შორის მინდორზე აკრძალულია, ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ ტრიბუნების ქვეშ.

⊙ **ბრაზილიელმა** ფეხბურთელმა პელემ, რომელიც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიწვევით იმყოფება მეხიკოში, განაცხადა, რომ მიმდინარე ჩემპიონატის თამაშებში სათანადო დონეზე ვერ დგას მსაჯობა. ნიმუშად მან მოიყვანა ბრაზილიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა, როცა მსაჯმა არ ჩათვალა ბრაზილიელთა კარში გატანილი ბურთი, თუმცა გოლი ყველამ აშკარად ნახა. პელე აღნიშნავს, რომ ჩემპიონატის პირველმა თამაშებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

⊙ **ფეხბურთის** ფანატიკური მოყვარულია კოლუმბიელი ქალი ლილია აკოსტა პუერტა. ფეხმძიმობის მიუხედავად იგი მაინც ჩავიდა მექსიკაში და ზედ მეხიკოს აეროპორტში შვა გოგონა. მას სახელდახელოდ დაარქვეს მარია გვადალუპა მეხიკო-86.

⊙ **ზუსტად** 12 თვე დაჭირდა 63 წლის ურუგვაელ ალსიდას ბუელას, რათა თავისი ქვეყნიდან მექსიკაში ჩაეღწია. ურუგვაელმა ფეხბურთელებმა ალსიდას ბუელა მზარეულად მიიღეს თავიანთ გუნდში, მაგრამ მთელი გუნდიც და მზარეულიც ორი ტურის შემდეგ მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში 49

უმაღლესი ლიგა

**7 და 8 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XIII ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.**

7 ივნისს, ქუთაისის „ტორპედო“ მოსკოვში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს“.

მოსკოვის „დინამოს“ თვალსაჩინო წარმატებები საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩებში ყველასათვის ცნობილია, ქუთაისის ტორპედოელებმა კი პირიქით, სწორედ ბოლო ტურებში, ზედიზედ რამდენიმე მარცხი განიცადეს, მათ შორის ერთი დიდი ანგარიშითაც. ასეთ ვითარებაში ქუთაისელ ფეხბურთელებს თავგამოდებული ბრძოლა მართებდათ დინამოელთა წინააღმდეგ და, უნდა ითქვას, მათ არც დაუკლიათ ცდა, მაგრამ მოსკოველებმა, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში სათავეში ექცეოდნენ უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილს, თავიანთი შანსი ხელიდან არ გაუშვეს და მორიგ გამარჯვებას მიაღწიეს, თუმცა, საამისოდ მთელი ძალების მობილიზება დაჭირდათ.

მასპინძლებს პირველივე ტაიმში ეპყრათ ტერიტორიული უპირატესობა, მოპირდაპირე კართანაც შექმნეს საგოლე მომენტები, მაგრამ ტორპედოელებმა კარგად, ორგანიზებულად იბრძოლეს საკუთარი კარის დასაცავად და ბურთიც არ გაუშვეს.

მიმდინარეობდა 53-ე წუთი, როცა დობროვოლსკიმ ტორპედოელთა მეკარე ქანთარიას პირისპირ გაიყვანა სტუკაშოვი, ამ უკანასკნელმაც ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ ქუთაისელებმა გააძლიერეს იერიშები, მათ შეტევებში ნახევარმცველებიც მონაწილეობდნენ, „დინამოს“ კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ 64-ე წუთზე ქუთაისელთა საჯარიმო მოედნის ხაზზე წააქციეს გარღვევაზე გასული კარატაევი, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც ძლიერი დარტყმით გამოიყენა ბოროდიუკმა — 2:0.

მატჩის ბოლო 15-20 წუთი ქუთაისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, 77-ე წუთზე კორლალიძემ ერთი საპასუხო ბურთიც გაიტანა, მაგრამ ჩვენმა გუნდმა მეტს ველარ მიაღწია და გამარჯვება, რიგით მეხუთე, მოსკოვის დინამოელებს დარჩათ — 2:1.

ამ მატჩში მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **„დინამო“** — პრუდნიკოვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, სილკინი, დობროვოლსკი, ბულანოვი, კობელევი (მოლოდცოვი), სტუკაშოვი (კოლივანოვი), კარატაევი, ბოროდიუკი; **„ტორპედო“** — ქანთარია, ფრუიძე, პაიკიძე, მალანია, ვასაძე, შენგელია, კორლალიძე (ტყავაძე), ყორღანაშვილი, მეგრელაძე, ხაგბა, მანაგაძე (ხუნდაძე). მსაჯი — მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი). გააფრთხილეს სილკინი. დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა — 2:0.

**8 ივნისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ადგილობრივმა სპარტაკელებმა მიიღეს თბილისის „დინამო“.**

მთელი მატჩის მანძილზე ორივე გუნდი მოქმედებდა ნელ ტემპში, ყოველგვარი რისკისა და გართულებების გარეშე. პირველი 45 წუთის მსვლელობაში ორიოდე მომენტი შექმნეს სპარტაკელებმა რუდაკოვმა და ვოლგინმა, შემდეგ კი გაზაევის გადაცემის მერე სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდა სვანაძე, მაგრამ მანაც ვერ გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა.

პირველი ტაიმისგან არც მეორე გამოირჩეოდა დაძაბულობით, სახიფათო მომენტებით ან მოთამაშეთა მონდომებით. ტემპი კვლავინდებურად დუნე იყო, ორივე გუნდის დაცვითი ხაზები აშკარად ჯობდნენ თავდასხმის ძალებს, თამაშის მეტი წილი შუა მინდორში მიმდინარეობდა, იქ კი როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები სისტემატურად კარგავდნენ ბურთს, არაზუსტად აწვდიდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ თამაშის ბოლო წუთებზე რამდენადმე გამოცოცხლდნენ ფეხბურთელები, ორი ძნელი ბურთი მოიგერია გაბელიამ. სახიფათო მომენტი შექმნეს ცაავამ, ჭედიამ და საკმაოდ უინტერესო, უკონფლიქტო თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0. ეს თბილისის „დინამოს“ მეექვსე ფრეა მიმდინარე გათამაშებაში.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„სპარტაკი“** — ჩერჩესოვი, მიტინი, ბ. კუზნეცოვი, ხიდიატულინი, პოპელნუხა (ე. კუზნეცოვი), ბოგაჩოვი (სუსლოპაროვი), რუდაკოვი (რუსიაევი), ვოლგინი, ნოვიკოვი, ჩერენკოვი, კუძლევი (სპარტაკელებს სამი შეცვლის უფლება ჰქონდათ); **„დინამო“** — გაბელია, კეტაშვილი, არზიანი, ჭედია, კუდრნოვი, გურული, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, გაზაევი (ცაავა), გოგრიჭიანი (მიქაბერიძე). მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ-ოლა). დუბლიორთა შეხვედრა მოიგო თბილისის „დინამომ“ — 2:0, ბურთები გაიტანეს ყორღანიამ და შენგელიამ.

**უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მომდევნო, მე-14 ტურის მატჩები გაიმართება კვირას, 22 ივნისს. ჩვენი გუნდები შინ ითამაშებენ, დინამოელები მიიღებენ ოდესის „ჩერნომორეცს“, ხოლო ტორპედოელები — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“.**

XIII ტურის სხვა მატჩების შედეგები:

**„დნეპრი“ — „არარატი“ 2:1**
**„ჩერნომორეცი“ — „ნეფთჩი“ — 1:0**
**„ჟალგირისი“ — „დინამო“ მნ. — 2:1**
**„შახტიორი“ — „ტორპედო“ მ. 1:1**
**„მეტალისტი“ — „ქაირათი“ — 1:0.**

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივნისისთვის

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „დინამო“ (მოსკოვი) | 12 | 6 | 3 | 3 | 17-13 | 15 (—9) |
| 2. | „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 12 | 5 | 4 | 3 | 20-13 | 14 (—10) |
| 3. | „ტორპედო“ (მოსკოვი) | 11 | 5 | 4 | 2 | 15-8 | 14 (—8) |
| 4. | „შახტიორი“ (დონეცკი) | 13 | 5 | 4 | 4 | 14-12 | 14 (—12) |
| 5. | „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 13 | 5 | 4 | 4 | 13-13 | 14 (—12) |
| 6. | „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 12 | 4 | 6 | 2 | 14-14 | 14 (—10) |
| 7. | „დინამო“ (თბილისი) | 13 | 4 | 6 | 3 | 11-12 | 14 (—12) |
| 8. | „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 12 | 5 | 3 | 4 | 9-10 | 13 (—11) |
| 9. | „ნეფთჩი“ (ბაქო) | 13 | 4 | 5 | 4 | 16-14 | 13 (—13) |
| 10. | „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 13 | 3 | 5 | 5 | 11-12 | 11 (—15) |
| 11. | „დინამო“ (მინსკი) | 12 | 4 | 2 | 6 | 11-16 | 10 (—14) |
| 12. | „დინამო“ (კიევი) | 7 | 3 | 4 | 0 | 12-6 | 10 (—4) |
| 13. | „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 11 | 3 | 4 | 4 | 15-10 | 10 (—12) |
| 14. | „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 12 | 3 | 4 | 5 | 7-14 | 10 (—14) |
| 15. | „არარატი“ (ერევანი) | 13 | 2 | 5 | 6 | 7-12 | 9 (—17) |
| 16. | „ტორპედო“ (ქუთაისი) | 13 | 1 | 5 | 7 | 8-21 | 7 (—19) |

## I ლიგა

განვლილ შაბათს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XV ტურის შეხვედრები.

ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მიიღო ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, ლანჩხუთელებმა დიდი ანგარიშით მიაღწიეს გამარჯვებას — 3:0.

ბათუმის „დინამო“ ამავე დღეს რიგაში შეხვდა „დაუგავას“ და მარცხი განიცადა — 0:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 3:1, „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — ასკ (ხაბაროვსკი) 3:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0, ცსკა — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 14 | 9 | 3 | 2 | 30—16 | 21 |
| ცსკა | 14 | 8 | 4 | 2 | 25—12 | 20 |
| „როსტსელ.“ | 15 | 7 | 5 | 3 | 29—20 | 19 |
| „ლოკომ.“ | 14 | 7 | 5 | 2 | 17—8 | 19 |
| „გურია“ | 14 | 8 | 2 | 4 | 24—22 | 18 |
| „როტორი“ | 14 | 8 | 1 | 5 | 18—10 | 17 |
| „დინამო“ ბ. | 14 | 7 | 3 | 4 | 13—16 | 17 |
| „კოლოსი“ | 15 | 6 | 5 | 4 | 14—15 | 17 |
| „პამირი“ | 14 | 5 | 6 | 3 | 21—16 | 16 |
| „ფახთაქ.“ | 14 | 7 | 1 | 6 | 19—16 | 15 |
| ასკ რ. | 15 | 6 | 3 | 6 | 14—13 | 15 |
| „შინიკი“ | 14 | 6 | 3 | 5 | 8—7 | 15 |
| „დინ.“ სტ. | 15 | 3 | 9 | 3 | 14—11 | 15 |
| ასკ „კარპ.“ | 14 | 6 | 2 | 6 | 25—17 | 14 |
| „ყუბანი“ | 15 | 2 | 9 | 4 | 8—10 | 13 |
| „ფაკელი“ | 14 | 4 | 4 | 6 | 14—14 | 12 |
| „კოტაიკი“ | 14 | 3 | 6 | 5 | 6—11 | 12 |
| „მეტალ.“ | 13 | 5 | 1 | 7 | 13—15 | 11 |
| „ისკრა“ | 14 | 4 | 3 | 7 | 7—15 | 11 |
| „სპარტაკი“ | 14 | 3 | 4 | 7 | 16—21 | 10 |
| „კუზბასი“ | 14 | 2 | 5 | 7 | 11—24 | 9 |
| „ნისტრუ“ | 14 | 3 | 2 | 9 | 11—30 | 8 |
| ასკ ხ. | 14 | 2 | 4 | 8 | 13—21 | 8 |
| „ატლანტ.“ | 14 | 2 | 4 | 8 | 7—17 | 8 |

## II ლიგა

7 ივნისს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების XII ტურის მატჩები: „დინამო“ (სოხუმი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 4:3, „კოლხეთი“ (ფოთი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 1:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „გიანჯლიკი“ (ბაქო) 0:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 4:0, „დილა“ (გორი) — „ოლიმპია“ (აშტარაკი) 2:1, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 2:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 2:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ქიაფაზი“ (ბაქო) 0:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქიაფაზი“ | 12 | 8 | 3 | 1 | 19—7 | 19 |
| „დილა“ | 12 | 7 | 3 | 2 | 21—13 | 17 |
| „ლოკომ.“ თბ. | 12 | 7 | 2 | 3 | 15—10 | 16 |
| „დინამო“ | 12 | 7 | 1 | 4 | 20—13 | 15 |
| „კოლხეთი“ | 12 | 6 | 2 | 4 | 19—18 | 14 |
| „მეშახტე“ | 12 | 6 | 1 | 5 | 18—16 | 13 |
| „სპარტაკი“ | 12 | 5 | 3 | 4 | 10—12 | 13 |
| „ლოკომ.“ ს. | 12 | 6 | 0 | 6 | 12—14 | 12 |
| „მეტალურ.“ | 12 | 5 | 2 | 5 | 23—14 | 12 |
| „გიანჯლ.“ | 12 | 4 | 4 | 4 | 15—10 | 12 |
| „ავტომობ.“ | 12 | 4 | 2 | 6 | 22—21 | 10 |
| „ყარაბახი“ | 12 | 4 | 2 | 6 | 22—21 | 10 |
| „არაზი“ | 12 | 3 | 4 | 5 | 9—15 | 10 |
| „შირაკი“ | 12 | 3 | 1 | 8 | 10—16 | 7 |
| „კოლხოზჩი“ | 12 | 3 | 1 | 8 | 8—23 | 7 |
| „ოლიმპია“ | 12 | 2 | 1 | 9 | 8—28 | 5 |

# ფეხბურთი — ყველას სიყვარული

**თბილისი.**
8 ივნისს, ფეხბურთის დღეს ყველგან გაიმართა საინტერესო შეჯიბრებები, ერთმანეთს ხვდებოდნენ ქალაქის პირველობის მონაწილე გუნდები, „ტყავის ბურთის“ პრიზის მაძიებელნი, უბრალოდ, ფეხბურთის მოყვარულები, რომლებიც ასაკის განურჩევლად, შესაშური გატაცებით დასდევდნენ ტყავის ბურთს, გაიმართა მრავალი შეხვედრა მინი-ფეხბურთშიც. ერთი სიტყვით, იმ დღეს მთელი ქალაქი ფეხბურთით სუნთქავდა!

**ბათუმი**
აჭარის დედაქალაქში ფეხბურთის დღე ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად გადაიქცა. ანგისის სპორტულ კომპლექსზე მასობრივი შეჯიბრებები ჩატარდა. ამ ბაზის სამივე საფეხბურთო მინდორზე მეტად საინტერესო ბრძოლა მიმდინარეობდა. ასპარეზობას თვალს ადევნებდა ათასობით ფეხბურთის მოყვარული. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კიევისა და ბათუმის ნორჩ დინამოელთა მატჩმა, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 4:1.

**ქუთაისი.**
3500-ზე მეტი ფეხბურთის მოყვარული მონაწილეობდა ქუთაისის სპორტულ მოედნებზე გამართულ საფეხბურთო დღის ზეიმში. ლენინისა და ავტოქარხნის რაიონებმა მოაწყეს შეჯიბრებები საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, სპორტსაზოგადოებათა ფიზკულტურული კოლექტივები იბრძოდნენ ფეხბურთის დღესთან დაკავშირებით დაწესებული სპეციალური თასისთვის, ქალაქის განათლების განყოფილების საფეხბურთო („მართვე“) და ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლებში („ტორპედო“) კი მოეწყო მასობრივი შეჯიბრებები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

**ონი.**
ფეხბურთის დღეს დაემთხვა ონისა და ამბროლაურის გუნდების კალენდარული მატჩი საქართველოს ზონალურ პირველობაზე. ამ შეხვედრამ გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. გაიმარჯვეს მასპინძლებმა. შემდეგ მინდორზე გამოვიდნენ ნორჩი ფეხბურთელები, რომელთა თამაშმა მაყურებელთა არანაკლები მოწონება დაიმსახურა. ფეხბურთის ზეიმში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები.

**ფეხბურთის დღე საზეიმოდ აღინიშნა აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში და რაიონებში, სოფლებში...**

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# გამოვლინდა რვა უძლიერესი

**კვირას** რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა შესარჩევი შეჯიბრების ბოლო მატჩები გამართეს. ქუთაისის „მშენებელმა“ დამაჯერებელი ანგარიშით სძლია ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 30:6 და ფინალის ბოლო, მერვე საგზური მოიპოვა (მისი მთავარი კონკურენტი ლენინგრადის „პრიმორეცი“ კიევის „ავიატორთან“ დამარცხდა — 14:16). თბილისის „ლოკომოტივმა“ მოუგო ტირასპოლის „ელექტრომაშს“ — 9:6. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სლავა“ (მოსკოვი) — ასკ (ალმა-ათა) 7:6, სსა (მონინო) — „სოკოლი“ (ლვოვი) 40:16, „ფილი“ (მოსკოვი) — ეტს (კრასნოიარსკი) — 20:12.

შესარჩევი ეტაპის შემდეგ სატურნირო ცხრილში გუნდები ასე განლაგდნენ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსა** | **10** | **1** | **0** | **228-104** | **32** |
| **„სლავა“** | **9** | **1** | **1** | **180-72** | **30** |
| **„ლოკ“. (მ.)** | **7** | **1** | **3** | **160-124** | **26** |
| **ასკ** | **7** | **0** | **4** | **157-148** | **25** |
| **„ფილი“** | **6** | **1** | **4** | **172-133** | **24** |
| **„ავიატ..“** | **6** | **1** | **4** | **196-113** | **24** |
| **ეტს** | **4** | **1** | **6** | **138-149** | **20** |
| **„მშენებ.“** | **4** | **1** | **6** | **123-133** | **20** |
| „ლოკ.“ (თბ.) | 3 | 2 | 6 | 109-156 | 19 |
| „პრიმორ.“ | 3 | 1 | 7 | 106-183 | 18 |
| „ელექტრ..“ | 1 | 0 | 10 | 88-184 | 13 |
| „სოკოლი“ | 1 | 0 | 10 | 110-268 | 13 |

„ა“ ფინალური ჯგუფის მონაწილენი შეჯიბრებას 21 ივნისს განაახლებენ. გუნდები კიდევ ოთხ-ოთხჯერ ორ წრედ, შაბათ-კვირას, დაწყვილებულ მატჩებში შეხვდებიან ერთმანეთს. პირველ ტურში ქუთაისელები მონინოში ეთამაშებიან ადგილობრივ სსა-ს.

ბოლო ოთხ ადგილზე გასული გუნდები პირველი ლიგის ოთხ საუკეთესო კოლექტივთან ერთად მომავალი წლისათვის უმაღლესი ლიგის ოთხი საგზურისათვის იბრძოლებენ („ბ“ ფინალი). უმაღლესი ლიგის წარმომადგენლებს ეთვლებათ შესარჩევ შეჯიბრებაში ერთურთთან ნათამაშევი მატჩების შედეგები. „ლოკომოტივსა“ და „პრიმორეცს“ 7-7 ქულა აქვთ, ხოლო „ელექტრომაშსა“ და „სოკოლს“ — 5-5 ქულა.

პირველი ლიგიდან „ბ“ ფინალის საგზური თბილისის „შევარდენმა“, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტმა (მსი), მოსკოვის „სპარტაკმა“ და კიევის „პოლიტექნიკმა“ მოიპოვეს. „შევარდენმა“ (მწვრთნელი რამაზ სანებლიძე) 18-25 მაისს ყაზახეთის ქალაქ თემირტაუს ქვეჯგუფში იასპარეზა. თბილისელებმა პირველ ტურში წააგეს ტაშკენტის „ზვეზდასთან“ — 6:9, რომლის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული ხუთი ქუთაისელი რეგბისტი გამოდიოდა. მომდევნო ტურებში „შევარდენმა“ ზედიზედ დაამარცხა ტაგანროგის „რადუგა“ — 15:4, კიევის საიი — 21:0, ნოვოკუზნეცკის „მეტალურგი“ — 22:9, ბოლო დღეს კი მსი-საც მოუგო — 6:0 და ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. („შევარდენს“ მოსკოველებთან მოგება ფინალშიც ჩაეთვლება). გუშინწინ გუნდმა მეორე გამარჯვება მოიპოვა გადასასვლელ ტურნირში — თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბის სტადიონზე კიევის „პოლიტექნიკი“ დაამარცხა — 18:16. „შევარდენს“ ქულები შესძინეს: ვანო საცერაძემ — 8 (2 საჯარიმო, 1 რეალიზაცია), გია კურატიშვილმა — 6 (1 საჯარიმო, 1 არეკნით) და ტარიელ სოკუროვმა — 4 (1 დამიწება). 15 ივნისს თბილისელები მოსკოვში „სპარტაკთან“ ითამაშებენ, შემდეგ უმაღლესი და პირველი ლიგის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან და პირველი წრის პროგრამაც ამით ამოიწურება. ბოლოს ეს გუნდები ორ წრედ (მიმოსვლით) გაითამაშებენ უმაღლესი ლიგის ოთხ საგზურს.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 23-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 2 (ბიატლონი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 18 (მძლეოსნობა), 28 (ტყვიის სროლა), 40 (რიკაობა).

**„სპორტლოტო 5 36“-დან** : 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 17 (ციგურაობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი).

# ლიდეროზს ანატოლი კარპოვი

ბუგოინოში (იუგოსლავია) დასასრულს მიუახლოვდა დიდოსტატთა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მონაწილეებმა X და XI ტურების შეხვედრები გამართეს.

X ტურში სოკოლოვი — მაილსი და პორტიში — სპასკი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი ორი შეხვედრა მეორე დღეს დამთავრდა. კარპოვმა მოუგო ტიმანს, ლიუბოევიჩი და იუსუპოვი კი დაზავდნენ. ამ დღეს დამთავრდა ადრე გადადებული პარტიებიც. კარპოვი ყაიმზე შეუთანხმდა მაილსს, ხოლო ლიუბოევიჩი — სოკოლოვს.

XI ტურში ოთხივე შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ამ დღეს ერთმანეთს ეთამაშებოდნენ კარპოვი — სოკოლოვი, ტიმანი — ლიუბოევიჩი, იუსუპოვი — პორტიში, სპასკი — მაილსი.

11 ტურის შემდეგ კარპოვს 7 ქულა აქვს, ლიუბოევიჩს, სოკოლოვს — 6-6, სპასკის, მაილსს — 5,5-5,5, პორტიშს, იუსუპოვს — 5-5, ტიმანს — 4.

ტურნირის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** **10 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: კანადა — სსრ კავშირი — **10.00 (1)**; საფრანგეთი — უნგრეთი (მეორე ტაიმი) — **11.30 (1)**; საფრანგეთი — უნგრეთი — **19.00 (1)**; ბულგარეთი — არგენტინა — **23.00 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.15 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია.** **10 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: კანადა — სსრ კავშირი — **10.00**; საფრანგეთი — უნგრეთი — **11.30**; საფრანგეთი — უნგრეთი — **19.00**; ბულგარეთი — არგენტინა — **23.00**.

**საქართველოს რადიო.** **10 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — **9.15**; რიტმული ტანვარჯიში — **11.40**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## ინფორმაცია

**ლონდონი.** საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა ინგლისის გზებზე ადგილობრივმა ველოსიპედისტმა ჯო მაკლაუგლინმა მოიგო. 1704 კილომეტრი მან 40 საათსა, 38 წუთსა და 20 წამში დაფარა. რბოლის საშუალო სიჩქარე საათში 42 კილომეტრი იყო. აღსანიშნავია, რომ მეორე და მესამე ადგილებზეც ინგლისელი ველოსიპედისტები გავიდნენ. საბჭოთა სპორტსმენი პიოტრ უგრიუმოვი IV ადგილზე დარჩა.

**კიევი.** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი წყალქვეშა ცურვაში— „მეგობრობის თასი“. გამარჯვება შეჯიბრების მასპინძლებმა მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სპორტსმენები გავიდნენ.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

### 14 ივნისი
### ფეხბურთი
### სსრ კავშირის თასი

**„დინამო“ (თბილისი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი)**

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 10 ივნისს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 10 ივნისიდან (შეფარდებით — ერთი ერთზე).

აბონემენტების მფლობელებს ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ 10 ივნისიდან სტადიონის № 7, 8, 9 და 10 სალაროებში 14 ივნისის 12 საათამდე.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათზე).

## საქართველოს პირველობა

ამ დღეებში გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო შეხვედრები I ლიგის გუნდებს შორის.

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:3, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 4:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 4:4 „იმედი“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „კახეთი“ (თელავი) 0:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 3:2.

**დასავლეთი ჯგუფი**

„დინამო“ (გაგრა) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 3:2, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სულორი“ (ვანი) 2:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:1.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 ეუ 07502